

3

ბუნება

მოსწავლის რვეული

მაია ბლიაძე • რუსუდან ახვლედიანი





ეს მე ვარ

მე მქვია

ჩემი გვარია

ვარ

ნლის.

მე ვსწავლობ

სკოლაში.

პარსკვლავიანი სუ

1. განმარტე რა არის:

ა) ვარსკვლავი




ბ) თანავარსკვლავედი

გ) გალაქტიკა

დ) კოსმოსი

2. ადამიანებმა ძველთაგანვე შენიშნეს, რომ ცაზე ვარსკვლავები გარკვეულ ჯგუფებს ქმნიდნენ. ამიტომ ისინი დააჯგუფეს და თანავარსკვლავედები უწოდეს. როგორ ფიქრობ, რატომ მოიქცნენ ასე?

3. შეაერთე ხაზები ისე, რომ თანავარსკვლავედები მიიღო:



4. თანავარსკვლავედებიდან ზოგიერთს ცხოველის სახელი ჰქვია, ზოგს კი – მითური გმირის ან არსების. სურათებზე მოცემული თანავარსკვლავედები დააჯგუფე ცხრილში სახელების მიხედვით:

ცხოველების სახელების მქონე	მითიური გმირების და არსებების სახელების მქონე



ჰერკულესის



დელფინის



კასიოპეა




არნივის



კენტავრის



გედის



დიდი დათვის



ანდრომედას



ხელიკის





გველეშაპის

- 5.** ჩახატე ღამით ცაზე შენი დაკვირვების შედეგად ამორჩეული ვარსკვლავები. შეაერთე ისინი ხაზებით და დაარქვი შენს თანავარსკვლავედს სახელი:



მზე პანსკვლავია

- 1.** დააკვირდი ნახაზს. მოცემული ასოების გამოყენებით შეადგინე მზესთან დაკავშირებული 4 სიტყვა. თითოეული ასოს გამოყენება მრავალჯერ შეგიძლია.
ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინე რამდენიმე წინადადება:



2. ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

მზე უზარმაზარი _____ ფორმის _____.


მზისგან წამოსულ სხივს დედამიწამდე მოსაღწევად _____
სჭირდება.

ხმელეთი, წყალი და ჰაერი _____ თბება.

როცა დედამიწის ერთი ნახევარი _____, მეორე ნახევარი
_____.

დედამიწის იმ ნაწილში, რომელიც განათებულია, _____,
ხოლო იმ ნაწილში, სადაც მზის _____ ვერ აღწევს,
_____.

3. მიუწერე სხივებს ის სიტყვები, რომელსაც მზე მოგაგონებს:




4. ციფრები და წინადადებები დააკავშირე ერთმანეთთან და პასუხები ჩაწერე ცხრილში:

- | | |
|--|---------------------|
| 1. ვარსკვლავების რაოდენობა „ირმის ნახტომში“; | ა) 88; |
| 2. მანძილი დედამიწასა და მზეს შორის; | ბ) 400 მილიარდი; |
| 3. თანავარსკვლავედების რაოდენობა; | გ) 6 ათასი გრადუსი; |
| 4. ტემპერატურა მზის ზედაპირზე; | დ) 150 მილიონი კმ. |

ციფრა	წინადადება

5. აუხსენი მეგობარს, რატომ არ შეიძლება მზისთვის თვალის გასწორება?



მზის სისტემა

1. ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

მზის ირგვლივ 8 _____ მოძრაობს.


თითოეული მათგანი საკუთარ უხილავ გზაზე _____ მოძრაობს.

ვარსკვლავებისგან განსხვავებით, პლანეტები _____ ნათდება.

2. გაიხსენე პლანეტების სახელწოდებები და შეავსე კროსვორდი:



3. დახატე თითოეულ ორბიტაზე პლანეტა და მიუწერე სახელები:



4. მოხაზე სწორი პასუხი:

- 1) რამდენი რგოლი აქვს იუპიტერს:
ა) 1; ბ) 16; გ) არც ერთი.
- 2) რომელი პლანეტაა წითელი ფერის:
ა) მერკური; ბ) მარსი; გ) დედამიწა.
- 3) რომელ პლანეტას იცნობდნენ ადამიანები უხსოვარი დროიდან:
ა) ვენერას; ბ) ურანს; გ) ნეპტუნს.

5. უპასუხე კითხვებს:

1) რა არის მზის სისტემა?

2) რა არის ორბიტა?

3) რომელი პლანეტა მდებარეობს მზესთან ყველაზე ახლოს და რომელი ყველაზე შორს?

4) ცნობილია, რომ პლანეტებს არა აქვთ საკუთარი სინათლე და ამიტომ სინათლის წყაროებს არ წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, ლამით ჩვენ მათ მაინც ვხედავთ. რატომ?

6. მზის სისტემის პლანეტები ორ ჯგუფად იყოფა. მათ, რომლებიც მზესთან ახლოს მდებარეობენ, შიდა პლანეტებს უწოდებენ; დანარჩენებს კი გიგანტი პლანეტები ჰქვიათ.

ა) ჩამოთვალე შიდა პლანეტები:

ბ) შიდა პლანეტებს შორის რომელია ყველაზე პატარა და რომელი ყველაზე დიდი?

გ) ჩამოთვალე გიგანტი პლანეტები.

დ) გიგანტი პლანეტებიდან რომელს აქვს რგოლები?

ქაღაჩი - ჩვენი პლანეტა

1. შენი სიტყვებით დანერე, რა მოხდება დედამიწაზე, მზე რომ არ იყოს?

2. დააკვირდი გლობუსს. მითითებულ ადგილებში ჩანერე შესაბამისი სიტყვები:

